

ხელშეკრულება

საკრედიტო ლიმიტის შესახებ

ამ ხელშეკრულების მხარეები არიან:

ბანკი - სს „ბაზისბანკი“ სკ 203841833, მისამართი: 0103 საქართველო, ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი N 1. ტელეფონი: +995 32 922 922, ელექტრონული ფოსტის მისამართი: info@basisbank.ge, ვებ-გვერდის მისამართი: www.basisbank.ge, საბანკო საქმიანობის ლიცენზია N173, გაცემის თარიღი 04.11.1993 წ.

კლიენტი/მსესხებელი - ფიზიკური პირი, რომელიც აქვს ანგარიში ბანკში, სარგებლობს ბანკის დისტანციური საკომუნიკაციო საშუალებით და რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბანკო მომსახურება.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მსესხებლის განაცხადის საფუძველზე ამ ხელშეკრულებით (შემდგომში „**ხელშეკრულება**“) ბანკი უმტკიცებს მსესხებელს საკრედიტო ლიმიტს (შემდგომში „**საკრედიტო ლიმიტი**“ ან „**ლიმიტი**“) ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით, ხოლო კლიენტი უფლებამოსილია, ლიმიტის ფარგლებსა და ლიმიტის ათვისების ვადაში, აიღოს კრედიტ(ებ)ი/სესხ(ებ)ი.

1.2. ეს ხელშეკრულება არ ავალდებულებს მსესხებელს კრედიტის აღებას. მსესხებლის მიერ ლიმიტის ფარგლებში კრედიტის აღების შემთხვევაში მხარეთა შორის დაიდება ცალკე საკრედიტო ხელშეკრულება (შემდგომში „**საკრედიტო ხელშეკრულება**“), რომლითაც განსაზღვრული იქნება კრედიტის კონკრეტული პირობები (კრედიტის მოცულობა, ვადა, საპროცენტო სარგებელი და ა.შ.).

1.3. ლიმიტის ფარგლებში კრედიტის აღების შედეგად, ლიმიტის მოცულობა მცირდება აღებული კრედიტის მოცულობის იდენტური ოდენობით.

1.4. ლიმიტის ფარგლებში მიღებულ სესხის მიღების შემდეგ მსესხებელი ვალდებული იქნება დააბრუნოს სესხის თანხა და გადაიხადოს საპროცენტო სარგებელი ბანკთან შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

1.5. ლიმიტის ფარგლებში მიღებულ ნებისმიერ სესხზე სარგებლის დარიცხვა დაიწყება კლიენტის ანგარიშზე სესხის თანხის ჩარიცხვის დღიდან, დარიცხვა განხორციელდება ყოველდღიურად, ამასთან დღეების რაოდენობა განისაზღვრება თვეში 30 (ოცდაათი) დღით.

მუხლი 2. საკრედიტო ლიმიტის ათვისება

2.1. კლიენტი უფლებამოსილია ნაწილობრივ ან სრულად აითვისოს ლიმიტი წინამდებარე ხელშეკრულებაზე დათანხმების თარიღიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში; ამ პუნქტით დადგენილი ლიმიტის ათვისების ვადის გასვლის შემდეგ კლიენტი არ იქნება უფლებამოსილი მიიღოს კრედიტი. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, სესხის მიღების სურვილის შემთხვევაში, კლიენტმა ბანკს უნდა მიმართოს განაცხადით (დასაშვებია განაცხადის წარდგენა კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით - ინტერნეტ-ბანკი, მობაილ-ბანკი). ბანკი განიხილავს კლიენტის განაცხადს და მიიღებს გადაწყვეტილებას ლიმიტის დამტკიცების ან დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ (ბანკი არ არის ვალდებული განმარტოს უარის თქმის მიზეზი).

2.2. კლიენტი უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულებაზე დათანხმების თარიღიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, ნებისმიერ დროს გააუქმოს საკრედიტო ლიმიტი ან ლიმიტის აუთვისებელი ნაწილი, რაზეც მან ბანკს უნდა მიმართოს განაცხადით (დასაშვებია განაცხადის წარდგენა კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით - ინტერნეტ-ბანკი, მობაილ-ბანკი ან ბანკის სატელეფონო მომსახურების ცენტრის საშუალებით), ამასთან, ყოველგვარი ორაზროვნების გამოსარიცხად, მსესხებლის მიერ ლიმიტის გაუქმება არ ნიშნავს ლიმიტის ფარგლებში მის მიერ მიღებულ კრედიტზე დადებული საკრედიტო ხელშეკრულების გაუქმებას და/ან მიღებული კრედიტზე უარის თქმას, ლიმიტის გაუქმების მიუხედავად, აღებული კრედიტი მსესხებელმა უნდა დააბრუნოს საკრედიტო ხელშეკრულების შესაბამისად.

მუხლი 3. საკრედიტო ლიმიტის ძირითადი პირობები

3.1. საკრედიტო ლიმიტის ძირითადი პირობები (ლიმიტის მოცულობა; ვალუტა; საპროცენტო განაკვეთი; ეფექტური საპროცენტო განაკვეთი და ა.შ.) მოცემულია ამ ხელშეკრულების თავსართში „საკრედიტო ლიმიტის შესახებ ხელშეკრულების მნიშვნელოვან პირობები“, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3.2. ლიმიტის ფარგლებში მიღებულ კრედიტზე დასარიცხი წლიური საპროცენტო სარგებელი, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, კრედიტის გაცემის საკომისიო, ანგარიშიდან კრედიტის თანხის განაღდებას საკომისიო, ვადაგადაცილების პირგასამტეხლო/ჯარიმა და კრედიტის წინსწრებით დაფარვის საკომისიო განისაზღვრება ლიმიტის ფარგლებში კრედიტის აღებაზე დადებული შესაბამისი საკრედიტო ხელშეკრულებით.

მუხლი 4. დამატებითი პირობები

4.1. ბანკის მიერ ლიმიტის ფარგლებში კრედიტის გაცემა ხდება მსესხებლის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.

4.2. კრედიტის ძირითადი თანხა და საპროცენტო სარგებელი გადაიხდება საკრედიტო ხელშეკრულების გრაფიკის შესაბამისად.

მუხლი 5. მხარეთა განცხადებები და გარანტიები

5.1 კლიენტი აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:

5.1.1. გაეცნო და ეთანხმება ამ ხელშეკრულების ყველა პირობას, ხელშეკრულებას დებს საკუთარი საჭიროებისათვის და გააჩნია ხელშეკრულების დადებისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებამოსილება.

5.1.2. ხელშეკრულება დადებულია მის მიერ ნებაყოფლობით, ბანკის ან სხვა პირთა მხრიდან ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომის და/ან სხვა ნებაყოფლობით გარემოების ზემოქმედების გარეშე;

5.2. მხარეები აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ ბანკი ხელშეკრულებას დებს ზემოთ მოცემულ განცხადებებზე, გარანტიებზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ კლიენტის მიერ ნაკისრ ვალდებულებებზე დაყრდნობით და თვლის მას ხელშეკრულების პირობებად.

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. მხარეები ვალდებული არიან სათანადოდ შეასრულონ ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულება. შესაბამისად, თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულებიდან და კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებათა ჯეროვანი შესრულება.

6.2. მსესხებელი ვალდებულია დროულად და სრულად დაფაროს საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში აღებული კრედიტი და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი, ასევე პირგასამტეხლო (არსებობის შემთხვევაში), გადაიხადოს საკომისიო და სხვა გადასახდელები.

მუხლი 7. ინფორმაცია მსესხებლის შესახებ

7.1. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ბანკი შეაგროვებს/დაამუშავებს მსესხებლის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. აღნიშნული ინფორმაცია მუშავდება მსესხებლის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები).

7.2. მსესხებლის მოთხოვნის შემთხვევაში, ბანკი ვალდებულია, გაასწოროს, განახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

7.3. მხარეები თანხმდებიან, რომ გარდა „7.1.“-„7.2.“ პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევისა, ბანკი უფლებამოსილია, საბანკო მომსახურების გაწევის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, დაამუშავოს მსესხებლის შესახებ ნებისმიერი კანონიერი გზით (მათ შორის, საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან) მოპოვებული პერსონალური მონაცემები, მათ შორის, მოახდინოს მათი გამოყენება პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის (სხვადასხვა საკრედიტო პროდუქტებით სარგებლობის შეთავაზებისთვის).

7.4. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი დაარღვევს ბანკთან დადებული რომელიმე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ან ეს საჭირო იქნება ბანკის საქმიანი რეპუტაციის ან/და კანონიერი ინტერესის დასაცავად, ბანკს უფლება ექნება სასამართლოს/არბიტრაჟს/აღსრულების ეროვნულ ბიუროს/კერძო აღმასრულებელს გადასცეს ან/და გამოიყენოს ინფორმაცია მსესხებლის შესახებ ისევე, როგორც მსესხებლის მიერ ხელმოწერილი ნებისმიერი დოკუმენტი;

7.5. მსესხებელი უფლებას ანიჭებს ბანკს და თანახმაა, რომ ბანკმა, კანონმდებლობით დადგენილი წესით, საბანკო მომსახურების გაწევის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, მიიღოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, ბანკისთვის აუცილებელი, მსესხებლის შესახებ პერსონალური და/ან ბიომეტრიული მონაცემები.

მუხლი 8. საკრედიტო ურთიერთობის/ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის პირობები

8.1. ბანკს უფლება ექნება შეწყვიტოს კლიენტთან არსებული საკრედიტო ურთიერთობა ან/და ნებისმიერი, რამდენიმე ან ყველა საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედება ან/და მოსთხოვოს კლიენტს სესხის ძირითადი თანხის დაბრუნება მასზე დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან და პირგასამტეხლოსთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იმ შემთხვევაში თუ დადგება საკრედიტო ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული ნებისმიერი გარემოება.

მუხლი 9. ხელშეკრულების მოქმედება და სხვა პირობები

9.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის კლიენტის მიერ მასზე მიერთების/დათანხმების მომენტიდან და იმოქმედებს დათანხმების თარიღიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, თუ მსესხებელი მანამდე არ გააუქმებს საკრედიტო ლიმიტს ამ ხელშეკრულების „2.2.“ პუნქტის შესაბამისად.

9.2. ამ ხელშეკრულების ტექსტი განთავსებულია ბანკის ინტერნეტ-გვერდზე <http://www.basisbank.ge/agreements/>, მოთხოვნის შემთხვევაში კლიენტს გადაეცემა ხელმოწერილი ხელშეკრულება.

9.3. ამ ხელშეკრულების რომელიმე ნაწილის ბათილობა და/ან მოქმედების შეწყვეტა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას ან მოქმედების შეწყვეტას.

9.4. ნებისმიერი შეტყობინება ხორციელდება წერილობით, ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფორმით. წერილობითი შეტყობინება მხარეს უნდა გადაეცეს შეტყობინების გამგზავნისთვის ცნობილ ბოლო მისამართზე. ბანკს შეუძლია შეტყობინებისთვის გამოიყენოს კომუნიკაციის სხვა საშუალებებიც - ელექტრონული ფოსტა, ინტერნეტი (ბანკის ოფიციალური ვებ-გვერდი - www.basisbank.ge; ინტერნეტ-ბანკი) ან ტელეფონი (მათ შორის, სატელეფონო ზარი, მოკლე ტექსტური შეტყობინება, მობაილ ბანკი).

9.5. ბანკს უფლება აქვს, ცვლილებები (დამატებები) შეიტანოს ამ ხელშეკრულებაში, რის შესახებაც შეატყობინებს კლიენტს ცვლილების (დამატებების) განხორციელებამდე 1 (ერთი) თვით ადრე, ამავე ხელშეკრულებით დადგენილი ერთ-ერთი (ან რამოდენიმე) ფორმით. კლიენტს უფლება ექნება, ბანკის მიერ შეტყობინების გაგზავნიდან 1 (ერთი) თვის გასვლამდე, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ან ხელშეკრულების მოქმედება. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ ბანკს არ ევალება კლიენტის შეტყობინება (ინფორმირება) ხელშეკრულებაში განსახორციელებელ ისეთ ცვლილებაზე (დამატებაზე), რომელიც არ აუარესებს კლიენტის მდგომარეობას. ნებისმიერი ასეთი ცვლილება (დამატება) ძალაში შედის ბანკის ოფიციალურ ინტერნეტ გვერდზე - www.basisbank.ge და/ან ბანკის სერვისცენტრებში შესაბამისი ინფორმაციის განთავსებისთანავე.

9.6. მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლო, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. წინამდებარე ხელშეკრულებით მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1¹ ნაწილის შესაბამისად, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავასთან დაკავშირებული ბანკის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება (მათ შორის გადახდის ბრძანება) მიქველდებიან დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

9.7. მხარეები თანხმდებიან, რომ ბანკის ინტერნეტ-გვერდზე განთავსებულ და ბანკის მონაცემთა ბაზებში (კომპიუტერულ პროგრამებში) დაცულ ინფორმაციას, ამ ინფორმაციის ბანკის მიერ დამზადებულ ელექტრონულ ასლებსა და ამონაბეჭდებს, რომლებიც დამოწმებულია ბანკის დირექტორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, აქვთ მტკიცებულებითი ძალა ამ

ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებული ფაქტების არსებობა-არარსებობის დადასტურების მიზნებისთვის.

9.8. იმ საკითხების მოწესრიგებისას, რომლებიც ამ ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

9.9. შეუსრულებელ ვალდებულებებზე მსესხებელი პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რაც ასევე გულისხმობს, რომ მსესხებლის მიმართ არსებული ბანკის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, ბანკის მხრიდან შესაძლებელია განხორციელდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვადასხვა სახის იძულების ღონისძიებები, მათ შორის (და არა მხოლოდ):

9.9.1. მსესხებლის კუთვნილ უძრავ-მოძრავ ქონებებზე (მათ შორის, საბანკო ანგარიშებზე) ყადაღის დადება;

9.9.2. მსესხებლის რეგისტრაცია მოვალეთა რეესტრში;

9.9.3. მსესხებლის მიერ ბანკის მიმართ ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველყოფის საგან(ებ)ის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეალიზაცია შესაბამისი ხელშეკრულებ(ებ)ით დადგენილი წესით. ამასთან, თუ უზრუნველყოფის საგან(ებ)ის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სარეალიზაციოდ მიქცევის შედეგად სრულად ვერ დაიფარება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბანკის მოთხოვნა, ბანკი უფლებამოსილია, დარჩენილი დავალიანების დაფარვის მიზნით აღსრულება მიაქციოს მსესხებლის ნებისმიერ სხვა ქონებაზე (მსესხებლის კუთვნილი ნებისმიერი ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე).

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა – www.nbg.gov.ge/cp
და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406